UDC 004.6
SCOPUS CODE 1408
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-154-161

საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო გამოცდილების შედარებითი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მაგალითზე

მარიამ ფირანიშვილი საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: piranishvilim@gmail.com

რეცენზენტები:

დ. მახვილაძე, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: dmakhviladze@gtu.ge

მ. ხოხობაია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: merab.khokhobaia@tsu.ge

ანოტაცია. საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გამოცდილება აშშ-სა და ევროკავშირის მაგალითზე გავლენას ახდენს ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ხარისხზე. ამ მიზნით განხილულია ინფორმაციის როლი მისი საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. გამოყოფილია ძირითადი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება იყენებს ინფორმაციის თავისუფლების თვალსაზრისით. კვლევის ამოცანები მოიცავს აშშ-სა და ევროკავშირში საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფისა და პერსონალური მონაცემების დაცვის არსებული ინფრასტრუქტურის, საჯარო ინფორმაციის, ინფორმაციის თავისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პრაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის მოხმარებას და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ხარისხის ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: გამჭვირვალობა; ინფორმაციის უზრუნველყოფა; პერსონალურ მონაცემთა დაცვა; პერსონალური მონაცემები; საჯარო ინფორმაცია; საჯარო ხელმისაწვდომობა.

შესავალი

საჯარო ინფორმაციის მიღების აღიარებული თავისუფლების პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვა გულისხმობს პირის პირადი ცხოვრების ხელყოფისგან დაცვას, მისი პერსონალური მონაცემების უკანონო გამოყენებისა და მათი შეცვლის საფრთხის თავიდან აცილებას. საქართველოს მთავრობამ, პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რაც გამოიხატა საკანონმდებლო დონეზე პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიების შექმნაში.

საჯარო ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფა და პერსონალური მონაცემების დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. მთავარი პრობლემა საჯარო და პერსონალურ მონაცემთა არასტანდარტიზებულ შეწონადობაშია, რაც, თავის მხრივ, ქმნის ორმხრივად სიკეთეთა დარღვევის რისკებს და არაერთგვაროვან პრქტიკას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისათვის. ამ პრობლემის პირობებში იკვეთება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის არგუმენტით, საჯარო ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვის რისკი და, პირიქით, როდესაც საჯარო ინფორმაცია მოიცავს და პერსონალურ მონაცემს ხელმისაწვდომს ხდის.

საჭიროდ მივიჩნევთ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გამოცდილების შედარებითი ანალიზი განვიხილოთ იმ ქვეყნების მაგალითზე, რომლებმაც ამ მიმართულებით ღირებულ წარმატებას მიაღწიეს.

ძირითადი ნაწილი

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში, თვისებრივი კვლევის მეთოდით, შესწავლილია საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო გამოცდილება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მაგალითზე. სისტემაში, როგორც ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის გამოყენების ხარისხი, გამოიყოფა ის ძირითადი შემადგენელი, რაც გავლენას ახდენს აშშ-სა და ევროკავშირში ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ხარისხზე. ამ მიზნით განხილულია ემპირიული კვლევის შედეგები, რომელიც მოიცავდა: **შედარების მეთოდი** – გამოვიყენეთ ანალიზის ყველა ეტაპზე, დაწყებული წინასწარი ანალიზიდან დამთავრებული ანალიზის კომპლექსური მეთოდიკებით; **მონაცემთა სისტემის დამუშავება** – შევადარეთ შესასწავლი განსხვავებული მონაცემები; **დაჯგუფება** – შესასწავლი მონაცემები/მაჩვენებლები დავყავით ხარისხობრივად მსგავს ჯგუფებად, შესაბამისი ნიშნების მიხედვით.

კვლევის შედეგების ანალიზი

საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფისას ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საჯარო ხელმისაწვდომობის პრინციპებით. აშშ-ის მაგალითზე ხაზგასასმელია საჯარო ინფორმაციის მიწოდების ინსტიტუციური ინსტუმენტები და გარანტიები. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი

ინსტრუმენტია **ინფორმაციის თავისუფლების აქტი (FOIA)** (US Government, 1967), რომელიც ფედერალური კანონია და ინდივიდებს უფლებას აძლევს მიიღონ ინფორმაცია ფედერალური სამთავრობო უწყებებისგან. FOIA აწესებს ღიაობის პრეზუმფციას, რომელიც პირებს საშუალებას აძლევს მოითხოვონ ჩანაწერები ფედერალური სააგენტოებიდან, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით. FOIA-ს მოთხოვნები წაეყენება ინფორმაციის ფართო სპექტრს, მათ შორის დოკუმენტებს, ელფოსტას, ანგარიშებს და სხვა სახის ჩანაწერებს.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის მთავრობამ სხვადასხვა ინიციატივა განახორციელა გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით. მაგალითად, ღია მმართველობის ინიციატივის მიზანია გააუმჯობესოს ხელმისაწვდომობა სამთავრობო მონაცემებზე, საზოგადოების მონაწილეობა წაახალისოს და თანამშრომლობა გაამლიეროს სამთავრობო უწყებებსა და საზოგადოებას შორის. ამ ინიციატივების ფარგლებში სამთავრობო უწყებებს მოუწოდებენ, პრაქტიკულად გაავრცელონ ინფორმაცია და გახადონ ადვილად ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აშშ-ის ფედერალური, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის სააგენტოები აწარმოებენ ოფიციალურ ვებგვერდებსა და ონლაინპორტალებს. ეს პლატფორმები მრავალფეროვან ინფორმაციას მოცავს, მათ შორის ოფიციალურ ანგარიშებს, პუბლიკაციებს, კრებულებს, მარეგულირებელ ინფორმაციას და სხვა.

საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნისათვის აშშ-ის სამთავრობო უწყებები ინახავენ საჯარო ჩანაწერებს და მონაცემთა ბაზებს, რომლებიც შეიცავს ფართო სპექტრის საკითხებზე დამუშავებულ ინფორმაციას, მათ შორის ბიზნესის რეგისტრაციაზე, ქონების შესახებ ჩანაწერებზე, სასამართლო ჩანაწერებზე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მონაცემებზე და სხვა. ეს ჩანაწერები, როგორც წესი, ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის და მათი მიღება, დადგენილი წესით, შესაძლებელია ოფიციალური არხებით, როგორიცაა სამთავრობო ოფისები ან ონლაინპორტალები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი აშშ-ში ღია მონაცემთა ინიციატივებია, რომლის მიზანია, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მთავრობის შესახებ მონაცემები. სამთავრობო უწყებები აქვეყნებს მონაცემთა ბაზას ისეთ თემებზე, როგორიცაა დემოგრაფია, დანაშაულის სტატისტიკა, გარემოსდაცვითი მონაცემები და ეკონომიკური ინდიკატორები. ღია მონაცემები ხელს უწყობს ინოვაციას, კვლევასა და საზოგადოების პროცესებში ჩართულობას, რაც ინდივიდებსა და ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს გააანალიზონ და სამთავრობო ინფორმაცია სხვადასხვა მიზნისთვის გამოიყენონ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჯარო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების პარალელურად არსებობს გარკვეული გამონაკლისები და შეზღუდვები მგრძნობიარე ინფორმაციის დასაცავად, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოება, პირადი კონფიდენციალურობა და სავაჭრო საიდუმ-

ლოებები. გარდა ამისა, საჯარო ინფორმაციაზე წვდომის დონე შეიძლება განსხვავდებოდეს უწყებებისა და იურისდიქციების მიხედვით.

აშშ-ში პერსონალური მონაცემების დაცვა ძირითადად რეგულირდება ფედერალური და სახელმწიფო კანონების კომბინაციით, ასევე ინდუსტრიისთვის სპეციფიკური რეგულაციებითა და თვითრეგულირების ჩარჩოებით. ხაზი უნდა გაესვას პერსონალური მონაცემების დაცვის რამდენიმე ძირითად საკითხს და მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „დარგობრივი მიდგომა", რომლის თანახმად, შეერთებული შტატები სექტორული მიდგომით ხელმძღვანელობს პერსონალური მონაცემების დაცვას. აღნიშნული გულისხმობს სხვადასხვა კანონისა და რეგულაციის გავრცელებას კონკრეტულ ინდუსტრიებზე ან მონაცემთა კატეგორიებზე. მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევის პორტაბელურობისა და ანგარიშვალდებულების აქტი (HIPAA) (US Government, 1996) არეგულირებს ჯანმრთელობის ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი ინფორმაციის კონფიდენციალურობას და უსაფრთხოებას, ხოლო Gramm-Leach-Bliley Act (GLBA) (US Government, (n.d)) ვრცელდება ფინანსურ სექტორზე.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულ შტატებს არ გააჩნია მონაცემთა დაცვის ყოვლისმომცველი ფედერალური კანონი, ზოგიერთმა შტატმა საკუთარი კონფიდენციალურობის კანონები მიიღო. მაგალითად, კალიფორნიის მომხმარებელთა კონფიდენციალურობის (CCPA) (US Government, Updated on May 10, 2023) და ვირჯინიის მომხმარებელთა მონაცემების დაცვის აქტები (CDPA) შტატის კანონის მაგალითია, რომელიც უზრუნველყოფს გარკვეულ უფლებებს და პრეზიდენტების დაცვას პერსონალურ მონაცემებზე.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში რამდენიმე ფედერალური კანონი მოქმედებს, რომელიც იცავს კონკრეტულ პერსონალურ მონაცემებს ან ეხება კონფიდენციალურობის კონკრეტულ საკითხებს. ფედერალური სავაჭრო კომისია (FTC) ძირითადი ფედერალური სააგენტოა, რომელიც პასუხისმგებელია კონფიდენციალურობისა და მონაცემთა უსაფრთხოების კანონების აღსრულებაზე.

საკანონმდებლო მოთხოვნების გარდა, აშშ-ში არსებობს სხვადასხვა თვითრეგულირების ინსტრუმენტი. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია Better Business Bureau (BBB), (Better Business Bureau, (n.d)), რომელმაც დაადგინა კონფიდენციალურობის სახელმძღვანელო პრინციპები და ქცევის კოდექსი ბიზნესისთვის.

აშშ-ში პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების გაძლიერების საკითხი აქტუალური მიმართულებაა და მიმდინარეობს დებატები კონფიდენციალურობის შესახებ ყოვლისმომცველი ფედერალური კანონის აუცილებლობის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფისას ევროკავშირი ხელმძღვანელობს იმ პრინციპითა და მარეგულირებელი აქტებით, რომლებიც მიზნად ისახავს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ინფორმაციისადმი საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირში აღსანიშნავია საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალობის პრინციპები, რომელიც ხაზს უსვამს ხელისუფლების მიერ შენახული ინფორმაციის ღიაობასა და ხელმისაწვდომობას.

ევროკავშირის წევრ 27 ქვეყანას აქვს საკუთარი ეროვნული კანონები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რომლებიც ეფუძნება ევროკავშირის გამჭვირვალობის პრინციპს. ეს კანონები დაინტერესებულ სუბიექტებს ანიჭებს საჯარო ხელისუფლებისგან ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების უფლებას, მოთხოვნის წარდგენისა და მონაცემების მიღების პროცედურების დაცვით.

ევროკავშირში მოქმედებს „ევროკავშირის ღია მონაცემთა პოლიტიკა“, რომელიც ხელს უწყობს საჯარო სექტორის ინფორმაციის გამოქვეყნებას ღია მონაცემთა პოლიტიკის მეშვეობით. ევროკავშირი საჯარო სექტორის ორგანოებს მოუწოდებს უზრუნველყონ ხელმისაწვდომობა მათ მიერ წარმოებულ ან შეგროვებულ მონაცემებზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ევროპის მონაცემთა პორტალი, რომელიც ცენტრალური პლატფორმაა და მონაცემებს აერთიანებს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის მონაცემზე წვდომას. მონაცემებში გაერთიანებულია სტატისტიკური, გეოგრაფიული, ფინანსური მონაცემები და სხვა. პორტალი ევროკავშირის მასშტაბით ემსახურება საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებზე წვდომას.

მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) (EU Parliamnet and the Counsil, 2016), რომელიც ძირითადად ყურადღებას ამახვილებს მონაცემთა დაცვასა და კონფიდენციალურობის უფლებებზე, თუმცა აქვს მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე. GDPR მოიცავს მარეგულირებელ ნორმებს, რომლებიც ეხება საჯარო ხელისუფლების მიერ პირთა უფლებების წვდომას მათ პერსონალურ მონაცემებზე და ხელს უწყობს გამჭვირვალობას, როგორ ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაზიარება.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში მიღებულია საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახალი გამოყენების (PSI) დირექტივა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახლა გამოყენებას ევროკავშირის მასშტაბით. ის წესებს ადგენს საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ხელახალი გამოყენებისა და კომერციული ექსპლუატაციისათვის. ამ მექანიზმით უზრუნველყოფილია საჯარო სექტორის ორგანოების მიერ გარკვეული ტიპის ინფორმაციის ხელახლა გამოყენებისთვის სამართლიანი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პირობები.

საჯარო ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობები და ფორმები შეიძლება განსხვავდებოდეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მათი ეროვნული კანონებისა და პრაქტიკის შესაბამისად. გარდა ამისა, ზოგიერთი ინფორმაცია ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს ან გამონაკლისებს, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნულ უსაფრთხოებასთან, პირად ან კომერციულ საიდუმლოებასთან.

მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციებით (GDPR) წესრიგდება პერსონალური მონაცემების დაცვა ევროკავშირში და მონაცემთა დაცვის ძირითად საკანონმდებლო ბაზას ქმნის ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში. GDPR ადგენს პირთა უფლებებს მათ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით და ვალდებულებებს აკისრებს ორგანიზაციებს, რომლებიც ამ მონაცემებს ამუშავებს.

GDPR ადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძველს და მოითხოვს ორგანიზაციებს ჰქონდეს კანონიერი მიზანი პერსონალური მონაცემების შეგროვება-გამოყენებისთვის. მოიცავს მონაცემთა დამუშავების რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპს, მათ შორის კანონიერებას, სამართლიანობას, გამჭვირვალობას, მიზნის შეზღუდვას, მონაცემთა მინიმიზაციას, სიზუსტეს, შენახვის შეზღუდვას, მთლიანობასა და კონფიდენციალურობას. GDPR მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ფიზიკური პირებისგან ინფორმირებული თანხმობის მიღებაზე, მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით. ის მოითხოვს, ორგანიზაციამ დაინტერესებულ პირებს მკაფიო ინფორმაცია მიაწოდოს მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და მეთოდების შესახებ და მკაფიო თანხმობა მიიღოს მათგან. ინდივიდებს ასევე აქვთ ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა მათ მონაცემებზე წვდომის უფლება, უზუსტობების გამოსწორება, მონაცემების წაშლა გარკვეულ პირობებში (დავიწყების უფლება) და დამუშავების შეზღუდვის უფლება.

ევროკავშირის ორგანიზაციებს მოეთხოვება ჩაატაროს მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასება იმ ოპერაციების დასამუშავებლად, რომლებიც მაღალი რისკის მქონე პირთა უფლებასა და თავისუფლებას შეეხება **(DPIA)** (Wolford, (n.d)). DPIA ხელს უწყობს რისკების იდენტიფიცირებას და მინიმიზაციას, დამუშავების საქმიანობის აუცილებლობას და პროპორციულობის შეფასებას, მონაცემთა დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. გარდა ამისა, ზოგიერთი კატეგორიის ორგანიზაციებს მოეთხოვება დანიშნოს მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის ფუნქციაა მონაცემთა დაცვის აქტივობების ზედამხედველობა, რჩევების მიწოდება, შესაბამისობის მონიტორინგი და პიროვნებისა და მონაცემთა დაცვის ორგანოებს შორის ეფექტური ურთიერთობა.

GDPR ასევე შეზღუდვებს აწესებს პერსონალური მონაცემების ევროკავშირის გარეთ გადაცემაზე იმ ქვეყნებში, რომლებიც არ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის ადეკვატურ დონეს. ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი გარანტიები, როგორიცაა სტანდარტული სახელშეკრულებო დებულებები, სავალდებულო კორპორატიული წესები ან სხვა დამტკიცებული მექანიზმები, პერსონალური მონაცემების მესამე ქვეყნებში გადაცემის დასაცავად.

ევროკავშირის ორგანიზაცია ვალდებულია კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოებს აცნობოს მონაცემთა დაცვის დარღვევის შემთხვევები, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას პირთა უფლებას და თავისუფლებას. დარღვევით დაზარალებულ პირებს ასევე უნდა ეცნობოთ შესაბამისი ინფორმაცია, რომ დარღვევამ შესაძლოა მათი უფლებისა და თავისუფლების დარღვევის საფრთხის მაღალი რისკი გამოიწვიოს.

ევროკავშირის თითოეულ წევრ ქვეყანას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია მონაცემთა დაცვის კანონების ზედამხედველობასა და აღსრულებაზე. ამ ორგანოებს უფლება აქვს გამოიძიოს საჩივრები, ჩაატაროს აუდიტი, გამოიყენოს სანქციები და განახორციელოს სააღსრულებო ზომები.

GDPR უზრუნველყოფს ჰარმონიზებულ მარეგულირებელ ჩარჩოს ევროკავშირის მასშტაბით, ამავდროულად ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს აქვს საკანონმდებლო აქტები, პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით, რომლებიც GDPR-ს ავსებს.

დასკვნა

აშშ-ისა და ევროკავშირის პრაქტიკაზე დაყრდნობით ცხადია, რომ ინფორმაცია, როგორც რეგულირების „ობიექტი", კომპლექსური სისტემის მენეჯმენტთან თავსებადობაშია. საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფისას შტატები და ევროკავშირი ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და საჯარო ხელმისაწვდომობის პრინციპით, ხოლო პერსონალური მონაცემების დაცვა ძირითადად რეგულირდება ფედერალური და სახელმწიფო კანონების კომბინაციითა და თვითრეგულირების ჩარჩოებით. ინფორმაციის თავისუფლება მნიშვნელოვანია როგორც შეერთებულ შტატებში, ისე ევროკავშირში. ინფორმაციის თავისუფლება და გამჭვირვალობა ინსტიტუციების დონეზეა დაცული.

ლიტერატურა

1. Better Business Bureau. (n.d). *Guideline and Code of Conduct for Businesses.* Retrieved from: https://www.bbb.org/
2. Creswell, J. (2009). *Research Design. Qualitative, quantitative, and Mixed Methods Approaches.*
3. EU Parliamnet and the Counsil. (2016). *Regulation 2016/679 - On the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).* Retrieved from: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A02016R0679-20160504&qid=1532348683434
4. US Government. (n.d). *Gramm-Leach-Bliley Act.* Retrieved from: https://www.ftc.gov/business-guidance/privacy-security/gramm-leach-bliley-act
5. US Government. (1967). *The Freedom of Information Act.* Retrieved from: https://www.foia.gov/
6. US Government. (1996). *Health Insurance Portability and Accountability Act of 1996 (HIPAA).* Retrieved from: https://www.cdc.gov/phlp/publications/topic/hipaa.html#:~:text=The%20Health%20Insurance%20Portability%20and,the%20patient's%20consent%20or%20knowledge.
7. US Government. (Updated on May 10, 2023). *California Consumer Privacy Act (CCPA).* Retrieved from: https://oag.ca.gov/privacy/ccpa#:~:text=The%20California%20Consumer%20Privacy%20Act,how%20to%20implement%20the%20law
8. Wolford, B. (n.d). *Data Protection Impact Assessment (DPIA).* Retrieved from: https://gdpr.eu/data-protection-impact-assessment-template/

UDC 004.6
SCOPUS CODE 1408
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-154-161

Comparative Analysis of the International Experience of Providing Public Information and Personal Data Protection on the Example of the USA and the EU

Mariam Piranishvili Department of Publie Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: piranishvilim@gmail.com

Reviewers:

D. Makhviladze, Assosiate Professor, Head of the Quality Assurance Service, GTU
E-mail: dmakhviladze@gtu.ge

M. Khokhobaia, Assosiate Professor, Head of the Scientific Reaserch and Development Servise, Faculty of Economics and Business, I. Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: merab.khokhobaia@tsu.ge

Abstract. The public information provision and personal data protection on the example of USA and the European Union affects the quality of freedom of information and public information provision. The role of information in ensuring access to public information is discussed. The main mechanisms and tools that the state and society use in terms of freedom of information are highlighted. The research objectives included the analysis of the existing infrastructure of public information provision and personal data protection in the USA and the EU, public information, freedom of information, the use of proactively published information by administrative bodies, and the quality of public information provision in this regard.

Keywords: information provision; public access; public information; personal data; personal data protection; transparency.

განხილვის თარიღი 27.02.2024
შემოსვლის თარიღი 28.02.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.2024